



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 83

2016 წლის 04 აპრ

ქ. თბილისი

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული დამატებითი
პროექტის დამტკიცების შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ
დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის,
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის #62/ნ ბრძანებით დამტკიცებული
წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების
უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო
ბიწაძის სამსახურებრივი ბარათის (N467869, 03.05.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

- დამტკიცდეს 2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის შედეგად
გამარჯვებული დამატებითი პროექტი დანართი 1-ის შესაბამისად
- დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი)
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი 1-ით
გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი
კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 20 მაისისა.
- დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის
ვებგვერდზე განთავსება.
- ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი 1

2016 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული
დამატებითი პროექტი

შიფრი	პროექტის სახელწოდება	სამეცნიერო ხეკმდლვანელი	წამყვანი ორგანიზაცია
SS16_A_005	გადაჭრილი გორის საზაფხულო სკოლა	მინდია ჯალაბაძე	საქართველოს ეროვნული მუზეუმი